ლირსეული შეხვედრა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს

50

პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР

СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

19 მაისი სამშაბათი 1970 წელი 2 ქაქ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 115 (14719)

იუბილემდე დარჩენილ დროში მძერავები დაზოგილი ქსოვილებით გამოუშვებენ ბავშვის სხვადასხვა სახის ტანსაცმლის 500 ერთეულს

25 თებერვალს ვიმუშავოთ დაზოგილი მასალებით

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის სოციალისტური შეჯიბრების ახალი ინიციატივა

ამხანაგებო! ჩვენმა ქვეყანამ ახლახან იზეიმა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ამ იუბილეს აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, ცალკეულმა ბრიგადებმა, თვითეულმა მშრომელმა ვადამდე პირნათლად შეასრულა. მაგრამ შეჯიბრება ჩვენი შემდგომი ეკონომიური ძლიერებისათვის არ შენელებულა, კვლავ ახალი ძალით ჩაღდება.

ამის ერთ-ერთი მაგალითია თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივის ინიციატივა, რომელიც ახლახან გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა. მემაუდეებმა გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად. მემაუდეთა მაგალითით ამ საქართველოს ბევრ საწარმოში გაჩაღა შეჯიბრება საბჭოთა საქართველოს იუბილეს დირსეულად შეხვედრისათვის. კოლექტივები პირობას იძლევიან: ძალ-ღონე არ დაზოგონ იმისათვის, რომ იუბილემდე დარჩენილ ათ თვეში კიდევ უფრო ამრავლონ წარმატებანი, ვადამდე დაამთავრონ ხუთწლედიან გადამწყვეტი წელი და მომზადებული შეხვდნენ მომავალ 1971 სამეურნეო წელს.

დიდია შეჯიბრების ძალა. მაგრამ აუცილებელია იგი გარკვეული კონკრეტული ზეგმეტის შესრულებისათვის წარვმართოთ. მეტი ენთუზიაზმი გამოვიჩინოთ იქ, სადაც სარგებლობა მეტია. სახალხო მეურნეობაში, მის ყველა დარგში არსებობს რგოლი, სადაც მეტი ეკონომიის გაკეთება შეიძლება.

პარტიამ და მთავრობამ ამ რამდენიმე ხნის წინათ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი გამოაქვეყნეს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომგირნეობის რეჟიმის განმტკიცების შესახებ“ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაკს, ყველა მშრომელს მოუწოდებს უფრო აქტიურად ჩაებნენ საერთო-სახალხო ბრძოლაში ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რაც შეიძლება სწრაფად დანერგვისათვის, არსებული საწარმოო სიმძლავრეების, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების სრული გამოყენებისათვის; უნდა გვახსოვდეს, რომ მაქსიმალურად გამოვიყენოთ სამუშაო დროის ყოველი წუთი, ყოველი მანქანა და მექანიზმი, გავუფრთხილდეთ ყოველ გრამ ნედლეულს, მასალას, ხათბობს.

მომგირნეობა და უპირათესობა დიდსა და მცირეში! აი რა არის დღეს მთავარი ამოცანა. აღნიშნულ წერილში ნათქვამია: „ჩვენი სახალხო მეურნეობის უდიდესი მასშტაბის პირობებში მომგირნეობის მცირე პროცენტიც კი ნიშნავს დიდ წვლილს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში, მრეწველობაში, მაგალითად, მარტო ერთი პროცენტით მატერიალური რესურსების დაზოგვა საშუალებას მოგვცემს გამოვუშვათ თითქმის სამი მილიონი მანეთის ღირებულების დამატებითი პროდუქცია“.

ვითვალისწინებთ რა მომგირნედ და ეკონომიურად მუშაობის დიდ მნიშვნელობას, პაიჭრულობთ, სოციალისტურ შეჯიბრებაში სხვა მაჩვენებლებთან ერთად ვიბრძოლოთ მომგირნეობისა და უპირათესობისათვის და მივაღწიოთ იმას, რომ საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავზე ერთ დღეს ვიმუშაოთ დაზოგილი მასალებით, ნედლეულით, განუხრელად ვიზრუნოთ პროდუქციის ხარისხზე, მუშაობის პრაქტიკაში დავნერგოთ „პირადი დამღა“, რომელიც ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში პროდუქციის პირველი წარდგენისთანავე ჩაბარებას ითვალისწინებს; განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, დავეუფლოთ მომეჯნავე პროფესიებს, გავაფართოოთ სამუშაო ზონა, მინიმუმამდე შევამციროთ დროის დანაკარგები.

ჩვენი ფაბრიკა ყოველწლიურად 1 მილიონ 782 ათას კვადრატულ მეტრ ქსოვილს ამუშავებს. აქ დიდი როლი ეკისრება საკამამეწარო საამქროს, რომლის ხელშიც უნდა გაიაროს და გამოიკრას ეს დიდძალი ქსოვილი. ცხადია, ამ საამქროს მშრომელთა ოსტატობაზე ბევრად არის დამოკიდებული მასალის ეკონომია. გამოცდილება ცხადყოფს, რომ თუ ზედმიწევნით ზუსტად შევასრულებთ ქსოვილის ნაფენების თავსა და ბოლოში ჩამოჭრის პროცესს, მინიმუმამდე დავიყვანთ დანაკარგებსაც. მაშინ შევძლებთ ყოველ ნაფენზე მოვიგოთ სანტიმეტრობით ქსოვილი, რაც საერთო ანგარიშში რამდენიმე ასეული მეტრს უდრის. მაგალითად, შარშან ჩვენ ამ გზით 744 კვადრატული მეტრი ყველა სახის ქსოვილი დავზოგეთ.

დღეს, როცა საქართველოს მშრომელები ემზადებიან სამშობლოს იუბილესათვის და საწარმოთა კოლექტივებში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება, ჩვენ ვიანგარიშეთ, რომ ტექნოლოგიის რეჟიმის ზუსტად დაცვით იუბილემდე დარჩენილ დროში შეგვაძლია დავზოგოთ 250 კვადრატული მეტრი აბრეშუმის, 300 კვადრატული მეტრი შალის და 120 კვადრატული მეტრი სპეციალურ ქსოვილები. ეს კი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ საამკერვალო ფაბრიკის პირველმა სამკერვალო საამქრომ 1971 წლის 25 თებერვალს მთლიანად დაზოგილი მასალით იმუშაოს და 500 ცალი ბავშვის სხვადასხვა ტანსაცმელი გამოუშვას.

ჩვენ ამ პირობას შევასრულებთ! მოვუწოდებთ ყველა თანამოსაქმენ, რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა საამქროებს, ცვლებს, ბრიგადებს მხარი დაგვიჭიროს და გაშალოს შეჯიბრება მასალებისა და ნედლეულის მომგირნეობისათვის. 1971 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავზე ვიმუშაოთ დაზოგილი მასალებით!

ბ. ქუთათელაძე, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის საგამომძრველო საამქროს უფროსი; **ლ. ხუციშვილი, ვ. ჯავარშვილი**, ცვლის უფროსები; **ლ. ელბაკიძე, თ. ბოკოველი, ბ. გეგარიანი, თ. ცაიტიშვილი**, დამფენები.

მიმართვა

პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსი

პროფესიული კავშირების ყველა წევრს — საბჭოთა კავშირის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებს, მოსამსახურეებს, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს

ძვირფასო ამხანაგებო!

1970 წლის 14 ივნისს გაიმართება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

საბჭოთა სახელმწიფოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები დიდი და მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

თვითმპყრობელობისა და კაპიტალის წინააღმდეგ რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლების ბრიკადებზე შობილი მშრომელთა დეპუტატების საბჭოები გადაიქცა ხალხის ყოვლისმომცველ ორგანიზაციად, მისი ერთობის განსახიერებად, სახელმწიფოს მართვაში მილიონობით მუშის, კოლმეურნის, მოსამსახურის, ინტელიგენციის აქტიური მონაწილეობის განსახიერებად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. არჩევნები ეწყობა საიუბილეო წელს, როცა საბჭოთა ხალხმა საზეიმოდ აღნიშნა მარქსის, ენგელსის, რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლის მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელის, საერთაშორისო მუშათა კლასის, ყველა შრომელის ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. დიდი ლენინის უბიელი გადაიქცა მთელი პროგრესული კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიულ დღესასწაულად, მისი უკვდავი იდეების ზეიმის, მათი ყოვლისმძლე ძალის დემონსტრაციად.

საბჭოთა ადამიანების უსაზღვრო სიყვარული თავიანთი ბელადისა და მასწავლებლისადმი, ილიჩის დიადი ანდერძისადმი ურყვევი ერთგულება მკაფიოდ გამოვლინდა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრებით ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, მასების უმაგალითო შრომითი აღმავლობით, მილიონობით მშრომელის აქტიური მონაწილეობით სრულიად საკავშირო ლენინურ კომუნისტურ შაბათობაში.

ჩვენმა ქვეყანამ, მომმე სოციალისტურმა ქვეყნებმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნეს ამას წინათ ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავი. არასოდეს არ ჩარჩება ხალხის ამ გმირობის დიდება, რომელმაც მთელ კაცობრიობას უჩვენა საბჭოთა ადამიანების გმირობა და ვაჟკაცობა, სოციალისტური წყობილების, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის დაუძლეველი ძალა.

ძვირფასო ამხანაგებო! როცა არჩევნებისათვის ემზადება, თვითეული ჩვენგანი თვალს ავლებს ოთხი წლის წინ, რომელიც საბჭოთა კავშირმა განვლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში — „მუშებს, გლეხებს, საბჭოთა ინტელიგენციას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, საბჭოების დიადი ქვეყნის ყველა მოქალაქეს“ — ყოველმხრივ გაშუქებულია განვლილი ოთხწლეულის შემოქმედებითი შრომის შედეგები, განსაზღვრულია საბჭოთა ხალხის ამოცანები კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებაში. საბჭოთა პროფკავშირები, ისევე როგორც სსრ კავშირის ყველა მშრომელი ხაზგასმით უჭერს მხარს მშობლიური კომუნისტური პარტიის მიმართვას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილი წლები იყო სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების წლები. ჩვენი ქვეყნის მუშები. სოფლის მეურნეობის მშრომელები, საბჭოთა ინტელიგენცია, ყველა მშრომელი ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით შრომობდნენ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის. საბჭოთა ხალხის, უწინარეს ყოვლისა მისი წამყვანი რევოლუციური და შემოქმედებითი ძალის — მუშათა კლასის გმირული შრომით მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი ქვეყნის უკონომიკის განვითარებაში, მეცნიერებისა და კულტურის ახალ აღმავლობაში, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში, სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში.

ოთხი წლის მანძილზე მშრომელთა რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 26 პროცენტით გაიზარდა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება ზრდის ტემპს, რომელიც გათვალისწინებული იყო ამ წლებისათვის სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით ხუთწლიანი გეგმის შესახებ. გაიზარდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. გადიდდა შვებულებების ხანგრძლივობა. ყოველწლიურად ფართოვდება საბინაო მშენებლობა. მარტო 1969 წელს აშენდა 102,5 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო (სასარგებლო) ფართობის საცხოვრებელი სახლები, ახალ ბინებში შესახლდა, აგრეთვე საბინაო პირობები გაიუმჯობესა 11 მილიონამდე კაცმა.

განუწყვეტლივ იზრდება მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები, რომლებიც ხმარდება უფასო განათლებას, სამედიცინო მომსახურებას, პენსიების, დახმარების გაცემას და სხვა სახის სოციალურ უზრუნველყოფასა და სოციალურ დაზღვევას, სტიპენდიების გაცემას, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო ან შეღავათიანი საგზურების მიცემას. ოთხ წელიწადში მოსახლეობისათვის დახმარება და შეღავათები საზოგადოებრივი ფონდებიდან 41,9 მილიარდი მანეთიდან 59 მილიარდი მანეთამდე გაზარდა. ამ პერიოდში გაგაჯანსაღებელ დაწესებულებებში მკურნალობდა და ისვენებდა 65 მილიონი მუშა, კოლმეურნე, მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრი. მიმდინარე წელს მთლიანად დამთავრდა ყველა კოლმეურნის სოციალური დაზღვევის ერთიანი საყოფთაოსახელმწიფო გარანტირებული სისტემის შექმნა.

სახელმწიფო განუხრელად, სულ უფრო დიდი მოცულობით ახორციელებს მუშათა შრომის პირობების გაჯანსაღებისა და გაუმჯობესების ღონისძიებებს. 1969 წელს ამ მიზნით დაიხარჯა 44 პროცენტით მეტი სახსრები, ვიდრე 1965 წელს.

იმ დროს, როცა კაპიტალის ქვეყნებში ძლიერდება პროლეტარიატის ექსპლოატაცია, იზრდება ქრონიკული უმუშევრობა, მილიონობით ადამიანი შიმშილისა და სიღატაკის პირობებში ცხოვრობს, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურმა საზოგადოებრივმა წყობილებამ შექმნა შემოქმედებითი შრომის, კულტურული და სულიერი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის სისტემატური ამაღლების პირობები.

ეს მიღწევები შედეგია პარტიის იმ პოლიტიკის თანმიმდევრულად განხორციელებისა, რომელიც დასახეს სკკპ XXIII ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის შემდგომმა პლენუმებმა.

კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ ზრუნავს საბჭოთა პროფკავშირებისათვის. პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა პროფკავშირები წარმატებით ასრულებენ ლენინის ანდერძს, საქმით წარმოადგენენ კომუნიზმის სკოლას, მეურნეობის სკოლას. კომუნიზმის მშენებლობის დროს ფართოვდება პროფკავშირთა უფლებანი, მაღლდება მათი როლი სახალხო-სამეურნეო და აღმშრდელობითი ამოცანების გადაჭრაში.

განვლილ ოთხწლეული საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის შემდგომი ზრდის დადასტურებაა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურმა მშვიდობისმოყვარულმა საგარეო პოლიტიკამ, საბჭოთა ქვეყნის მიერ თავის ინტერნაციონალური მოვალეობის განუხრელად შესრულებამ, იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხთა უანგარო მხარდაჭერამ — ყოველივე ამან სსრ კავშირს პროგრესული კაცობრიობის დიდი პატივისცემა მოუხვეჭა. საბჭოთა ხალხი ზეიმდად ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას და ყოველმხრივ დახმარებას უწევს გმირ ვიეტნამელ ხალხს, არაბული ქვეყნების ხალხებს, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა ხალხს. ჩვენი ქვეყანა ხალხებს მიაჩნიათ დიად მგაღლითად და საიმედო ბურჯად ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის სამართლიან ბრძოლაში.

საბჭოების ქვეყანა ყოველთვის იყო და იქნება თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმის ერთგული დამცველი, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების თანმიმდევრული მებრძოლი!

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში გრანდიოზულია კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი, რომლებიც საფუძველს უქმნიან ჩვენს შემდგომ წინსვლას. ჩვენს წინაშე დასახულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიადი ამოცანები, რომლებიც თვითეულმა მუშამ, კოლმეურნემ, ინჟინერმა, მეცნიერმა დღეს და ხვალ უნდა გადაწყვიტონ. მილიონთა შრომა და მხოლოდ შრომა ქმნის დოვლათს, ურომლისოდაც ვერ გაიზრდება და განვითარდება ჩვენი სოციალისტური სამშობლო.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგო მუშებო, ინჟინერ-ტექნიკურო მუშაკებო, მოსამსახურეებო, სოფლის მეურნეობის მშრომელებო, მეცნიერებს, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, აქტიური მონაწილეობა მიიღოთ არჩევნებში და ერთსულოვნად მისცეთ ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს. ხმას რომ მისცემენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი კავშირის კანდიდატებს, ამით საბჭოეთის სახელოვანი გმირი მუშათა კლასი, ყველა მშრომელი ცხადყოფს, რომ შეგაგრძობულია არიან ლენინური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მზად არიან თავდადებით იბრძოლონ უფრო დიდი წარმატებებისათვის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ყველანი არჩევნებზე! ხმა მივცეთ კომუნისტთა და უპარტიოთა ლენინური ბლოკის კანდიდატებს — ჩვენი სამშობლოს ღირსეულ შვილებს!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ბედნიერების ციხე-სიმაგრეს, მშვიდობისა და პროგრესის საიმედო ბურჯს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს — კომუნისტური საზოგადოების მშენებელს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინის გზით, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

პროფესიული კავშირების სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

*ბ. ბ. ბ.

დეკუტატობის კანდიდატი მერი მჭედლიშვილი

ვაზის ყვავილობა

მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირიდან ცივ-გომბორის მთის მიმართულებით 485 ჰექტარზე გადაჭიმულა აყურის კოლმეურნეობა „მოწინავეს“ ზვრები. ამ ბარაქიან მიწაზე მხრები გაუშლია რქაწითელს, მწვანესა თუ ხაფერავს. უყვართ ვაზი აყურელებს, გულმოდგინედ უვლიან და შემოსავლის ძირითად წყაროდაც სწორედ ეს მადლიანი კულტურა გაუხდიათ.

ვაზს ყველაზე მეტად სწორედ ახლა, გაზაფხულზე სჭირდება მუშა კაცის ხელი.

გუნდ № 8 ბრიგადის ვენახებისაკენ ავიღეთ. ქალების სიმრავლემ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. დიდი დაკვირვებით ფურჩნიდნენ ვენახს. ჩქარობდნენ საწალი აგრეგატების მოსვლამდე გაეთავისუფლებინათ ვაზები ზედმეტი ამონაყრებისაგან. ბრიგადამ თავის დროზე ჩააცარა ამლაბუდიანი ტაკიას წინაალმდეგ ინტრაფირნის შესახურება და ახლა შაბიამნის ხსნარით მკურნალობას აწარმოებს, კარგად გაფურჩნულ ვენახებს აგრეგატები ასახურებენ სითხეს.

— იცნობდეთ, ეს მერი მჭედლიშვილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, — გვითხრა კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციის ბიუროს მდივანმა დ. ყორჩიშვილმა.

სახეზე მზედაკრული ახალგაზრდა ქალი წუთით მოშორდა ვაზს და მორცხვი ღიმილით მოგვესალმა.

— დიახაც რომ დარსეული კანდიდატი წამოვიყენეთ. კრებაზე გვითხრეს, ვინ გინდათო, და ჩვენც ერთხმად მერი დავასახელეთ. დღენიადაგ ჩვენს გვერდით არის, თვითონ თავდადებით შრომობს და ჩვენც გვახალისებს თავისი კაიქალობით. ჩაერია ლაპარაკში ხანშიესული ქალი მარგო კირვალაძე.

ვინ არის მერი მჭედლიშვილი, რომელმაც ახალგაზრდულ წლებშივე ესოდენ სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა თანამოსაქმეთა შორის?

მისი ბიოგრაფია თითქმის არაფრით არ განსხვავდება ბევრი სხვა კოლმეურნე ქალის ბიოგრაფიისაგან. იგი დაიბადა თელავის რაიონის სოფელ ფალავრში 1941 წელს იმ ქარაშხლიან დღეებში, მამამ ჩვილი აკვანში მწოლიარე ნახა მხოლოდ და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა. მერიმ 1958 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და მაშინვე კოლმეურნეობას მიაშურა საშუშაოდ. მალე ტოლამხანაგებში თავი ისახელა გამრჯე ქალიშვილმა. არაერთხელ დაუსახელებიათ იგი მოწინავეთა შორის. 1961 წელს მერიმ ბევრი სამუდამოდ დაუკავშირა სოფელ აყურაში მცხოვრებ კოლმეურნე ზაურ მჭედლიშვილს. პატარძლობით დადახნს არ უნებივრია. შრომას შეჩვეულმა ქალმა კვლავ კოლმეურნეობას მიაშურა.

ახალმოსახლენი ვართ, რა დროს შინ ჯდომაა. ბავშვები გვეყოლება, ხახლი კი არაფრად გვივარგა. შენთან ერთად ვიშრომებ, კარგ ანაზღაურებას მივიღებ და სახლის მშენებლობასაც შევუდგებით უთხრა მეუღლეს, რომელსაც მისი ახეთი ნაადრევი ნაბიჯი პირველ ხანებში არ ეჯაზნიკა.

მართლაც, მერიმ მოკლე დროში აქაც გაითქვა სახელი. მხარში ამოუდგა მეუღლეს, მეზობლებს და მოწინავე კოლმეურნე ქალთა სიაში მალე მისი გვარიც გამოჩნდა.

№ 8 ბრიგადა, რომელშიც მერი ირიცხება, მრავალი წლის განმავლობაში გამარჯვებებს აღწევს, ყურძნის უხვი მოსავლით ამაყობს. შარშანაც კი, როცა სეტყვამ და ხანგრძლივმა გვალვამ საგრძნობლად დააზიანა აყურელთა ვენახები, ბრიგადამ 38 ჰექტარი მოსავლიანი ვენახის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 64 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, გეგმა კი 60 ცენტნერს ითვალისწინებდა.

— ჩვენი ბრიგადის წარმატებებში ცოტა როდია მერი მჭედლიშვილის წვლილი, — თქვა ბრიგადირმა ე. ბერიკაშვილმა — მარტო შარშან ქალებისათვის დაწესებული 90-ის ნაცვლად 154 კაცდღე გამოიმუშავა, ამით არა მარტო ქალებს, ბევრ შამაკაცსაც გაუსწრო.

მერიმ, გარდა საერთო შრომაში მონაწილეობისა, პირადად ჩაიბარა მოსავლელად 0,5 ჰექტარი ვენახი და იკისრა ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძნის მოყვანა, სინამდვილეში კი 137 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა.

ესეც არ იკმარა ბედნიერ ქალმა 8 გრამი აბრეშუმის ჭიის მფრი გამოკვება და გეგმით დაწესებული 7,5 კილოგრამის ნაცვლად 27 კილოგრამი აბრეშუმის პარკი ჩააბარა მიმღებ პუნქტში.

თბილისელმა დიდი ოდენობით ალფრთოვანებულმა ბერიკ ბერიკაშვილმა ბიოლოგიურად ... ვენახებიდან ... ჰექტარზე ... ცენტნერ ... ვალდებულება აიღო — 0,5 ჰექტარ ვენახიდან ... ... გარიშებით 150 ცენტნერი ყურძენი უნდა მოიკვანოს.

არც მეაბრეშუმეობას ივიწყებს მერი. ახლა 4 გრამ აბრეშუმის ჭიის მფრს უვლის და პირობა აქვს დადებული, რომ ეგეშით გათვალისწინებული 10 კილოგრამის მაგიერ 35 კილოგრამი პარკი მოიყვანოს.

გამრჯე კოლმეურნე კარგი დედაც არის. მას ქალ-ვაჟი ჰყავს.

— მე ახლა მარტო ქალებს კი არა, ჩვენი ბრიგადის მამაკაცებსაც ვიწვევ შეჯიბრებაში. პირობას ვდებ ადებული ვალდებულებები პირნათლად შევასრულო, წელს 200 კაცდღე გამოვიმუშაო, ბავშვებსაც კარგად მოვუაროო და ღირსეულად დავბედე სტუმარსაც, — თქვა მერიმ.

მერი გიორგის ასული მჭედლიშვილის კანდიდატურა კენჭისაყრელად წამოყენებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების თელავის საარჩევნო ოლქში. ეგვი არავის ეპარება, რომ ამ მოწინავე, გამრჯე კოლმეურნე ქალს ერთსულოვნად მისცემენ ხმას ოლქის ამომრჩევლები.

ლ. თუშაბრამიშვილი,
თელავის № 4 საშუალო სკოლის პედაგოგი.

ავსტრიელი სტუმრები საქართველოში

კვირას, 17 მაისს, ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაური დოქტორი ბ. გლაისნერი და მისი თანმხლები პირები ეეწონობდნენ თბილისს. ისინი იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში. ინსტიტუტის დირექტორმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ლ. ანდრონიკაშვილმა გ. გლაისნერს გააცნო საქართველოს ამ ერთ-ერთი უდიდესი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების საქმიანობა, საფაც თითქმის ათასი თანამშრომელია. მეცნიერები კვლევას აწარმოებენ თანამედროვე ფიზიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებებით. ქართველ ფიზიკოსთა დამსახურების აღიარება იყო ის, რომ ორ მათგანს მიენიჭა ლენინური პრემია.

ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, თუ რა დიდი წვლილი შეაქვთ ქართველ ფიზიკოსებს მეცნიერების პროგრესში.

სტუმრებმა ერთ საათზე მეტ ხანს დაჰყვეს სახელმწიფო უნივერსიტეტში. რექტორთან, აკადემიკოს ი. ნ. ვეკუასთან საუბარში მათ გამოიკითხეს, თუ როგორ არის დაყენებული სწავლა, აღმზრდელობითი მუშაობა, უმაღლესი სასწავლებლის კოლეგიტივის მეცნიერული საქმიანობა.

დოქტორ გ. გლაისნერსა და მის თანამგზავრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა და ხელოვნების მუზეუმმა. დიდხანს გვესხმება, თქვეს სტუმრებმა, მცხეთაში მოგზაურობაც. იქ ვნახეთ ქართული ხუროთმოძღვრების შედევრები.

ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურის გ. გლაისნერის პატივსაცემად რესტორან „ევეროიაში“ თბილისის მმრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამართა სადილი.

საღამოს ავსტრიელმა სტუმრებმა ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში მოისმინეს ოპერა „დაისი“.

დილას, 18 მაისს, ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაური გ. გლაისნერი და მისი თანმხლები პირნი კახეთში გაემგზავრნენ. ისინი იყვნენ თელავისა და ყვარლის რაიონებში, დაათვალიერეს მათი ღირსშესანიშნაობანი, გაეცნენ ქართული ღვინოების წარმოებას. მოგზაურობის დროს ბ. გლაისნერს თან ახლდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სავარეო საქმეთა მინისტრი რ. ი. შრეშილი და სხვა ოფიციალური პირები. (საქდესი).

განვაკეტკიცოთ კონტაქტები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოწვევით თბილისში ჩამოსული ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაური დოქტორი ბ. გლაისნერი 17 მაისს ეწვია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს შ. მ. ბუხრაშვილს. ბ. გლაისნერთან ერთად იყო ქალაქ ლინციის — ზემო ავსტრიის დედაქალაქის ბურგომისტრი ტ. ბრინერი.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის მილტანთა დარბაზში სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ. აქ შეიკრიბნენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეები შ. ი. მოსაშვილი, ნ. ა. ფავანი, ბ. ნ. გოშაძე, ი. ტ. ურაშაძე, აღმასკომის წევრები.

შ. ბ. ბუხრაშვილმა წაიკითხა თბილისის მმრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მისასალმებელი წერილი ზემო ავსტრიის მხარის მთავრობის მეთაურისა და სხვა ავსტრიელი სტუმრებისადმი. წერილში გამოთქმულია რწმენა, რომ დოქტორ ბ. გლაისნერის ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირსა და ავსტრიას შორის თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების შემდგომ გაუმჯობესებასა და განმტკიცებას.

მიმართა რა შეკრებილთ, ბ. გლაისნერმა თქვა:

— სულითა და გულით ვგრძნობ მოგილოცოთ ის დიდი მიღწევები საქალაქო მეურნეობაში, რომელებსაც ჩვენ გავეცანით. თბილისში იგრძნობა, რომ ზრუნავენ ადამიანებისათვის, მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

შემდეგ ბ. გლაისნერმა თქვა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს შეხვედრებსა და კონტაქტებს მეგობრობისა და ურთიერთგაგების განვითარებისათვის. აუსტრია, თქვა მან, ისწრაფვის შეინარჩუნოს ნეიტრალიტეტი, მშვიდობა.

ქალაქ ლინციის ბურგომისტრმა ტ. ბრინერმა თქვა:

— ბევრი ქვეყნის ქალაქებში ვყოფილვარ და არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ თვითეული მათგანს ერთი და იგივე პრობლემები აქვს: მოქალაქეთა საბინაო პირობების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, მოვლი საქალაქო მეურნეობის გაუმჯობესება. საკმაო გამოცდილება მაქვს და უნდა განვაცხადო, რომ თბილისი ამ პრობლემების გადაწყვეტაში ძალიან სასიხარულო შთაბეჭდილებას ტოვებს. ის, რაც თქვენს ქალაქში ვნახეთ, ამას მოწმობს. მინდა, ძვირფასო მეგობრებო, მოგილოცოთ თქვენ და ყველა თბილისელს შესანიშნავი მიღწევები.

საპატიო სტუმართა წიგნში ზემო ავსტრიის სამხარო მთავრობის მეთაურმა და ლინციის ბურგომისტრმა ჩაწერეს: „მშვენიერ ქალაქ თბილისს ვუსურვებთ ბედნიერ განვითარებას“. (საქდესი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

დავიცვათ და გავაღიდოთ თევზის მარაგი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა საგაზაფხულო ტოფობის დაცვის, თევზის ბუნებრივი გამრავლების ეფექტიანობის ამაღლების, ბრაკონიერობასთან და თევზჭერის წესების დარღვევასთან ბრძოლის გაძლიერების უზრუნველყოფის საკითხები. მიღებულია დადგენილება მიმდინარე წლის 20 მაისიდან 20 ივლისამდე რესპუბლიკის წყალსატევებში მოწყლის თევზის საგაზაფხულო ტოფობის დაცვის ორთვიური.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების აღმასკომებს დაავალა შექმნან ორთვიურის მოწყობის ხელმძღვანელობის შტაბები, რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ თევზის დაცვის ორგანოები, შინაგან საქმეთა ორგანოები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. თევზის დაცვის ორგანოებმა შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად უნდა შექმნან ოპერატიული ჯგუფები და შეიმუშაონ სადღეღამისო ჯგუფური შემოწმების კონკრეტული გრაფიკები წყალსატევების დასაცავად, ამ საქმეში ჩაბაან საზოგადოებრიობა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ გააძლიერონ ბრძოლა წყალსატევებში თევზის დაბინძურებასთან და სპეციალიზაციასთან, რესპუბლიკის პროკურატურამ და უმაღლესმა სასამართლომ კი გააძლიერონ ზედამხედველობა ბოროტი ბრაკონიერების საქმის გამოძიებისა და განხილვისადმი, პრაქტიკაში დანერგონ, რომ ამ კატეგორიის საქმეები განიხილონ სასამართლოების გამსვლელ სესიებზე საზოგადოებრივი ბრალმდებლების მონაწილეობით.

ორთვიურის პერიოდში წყდება თევზის სარეწაო ჭერა სიონისა და ტყიბულის წყალსაცავებში, ჯანდარისა და ბაზალეთის ტბებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა, საზოგადოება „ცოდნამ“ ორთვიურის პერიოდში უნდა მოაწყონ კინოფილმების ჩვენება, რადიო- და სატელევიზიო გადაცემები, რომლებიც ფართოდ გააშუქებენ თევზის მარაგის დაცვის საკითხებს, გამართონ ლექციები მოსახლეობაში ამ თემებზე. რესპუბლიკური, საქალაქო და რაიონული გაზეთების redაქციებს წინადადება მიეცათ ფართოდ გააშუქონ რესპუბლიკის თევზის მარაგის დაცვის საკითხები. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბიჭვინთის სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს პლაკატების, ფურცლების, სხვა მასალების დამზადება „საქშავზღვაოეკოლოგიურ“ სამმართველოს შეკვეთით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რუსთავის ქიმიური კომბინატისა და „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის“ დირექტორებს დაავალა უზრუნველყონ მოწყობილობითა და რაციონალიზაციებით ზემოაღნიშნული სამმართველოს ქიმიური ლაბორატორია იმ ჩამდინარი წყლების საკონტროლო ანალიზებისათვის, რომლებსაც ეს საწარმოები უშვებენ თევზსამეურნეო წყალსატევებში.

ორთვიურის შედეგებზე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოახსენებს საქართველოს „ზაი ზღვის თევზის მარაგის დაცვისა და გამრავლების და თევზჭერის რეგულირების სამმართველო. (საქდესი).

ტურ ჰეიერდალის ახალი ექსპედიცია

რაბათი, 18 მაისი. (საკდესი). მაროკოს საფის ნავსადგურიდან ცენტრალური ამერიკის მიმართულებით აიღო კურსი „რა-2“ პაპირუსის ნავმა. რვა კაცისაგან შემდგარ ეკიპაჟს მეთაურობს ცნობილი ნორვეგიელი მოგზაური და მკვლევარი ტურ ჰეიერდალი. ახალანდელი ექსპედიცია განმეორებაა ჰეიერდალის შარშანდელი ცდისა, „რა-1“-ით გადაეხვია ატლანტის ოკეანე.

ტურ ჰეიერდალის გარდა „რა-2“ ნავში არიან ავტრეთვე საბჭოთა ექიმი იური სენეკეგინი, ეგვიპტელი ჯორჯ ოლიანელი, მექსიკელი სანტიაგო გენოვესი, იტალიელი კარლო მაორი, ამერიკელი ნორმან ბეიკერი, ავრეთვე იაპონელი კიიოხარა და მაროკოელი აიტ მადანი. ორი უკანასკნელი პირველად იღებს მონაწილეობას ექსპედიციაში.

როგორც პროფესორმა ტურ ჰეიერდალმა აცნობა საკდესის კორესპონდენტს, ექსპედიციის მიზანია დაამტკიცოს, რომ ძველ ეგვიპტელებს პაპირუსის ნავებით შეეძლოთ ათასობით კილომეტრის გადვა ატლანტიკის კონტინენტის დასავლეთ ნაპირებიდან ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ნაპირებამდე.

ასეთ მოგზაურობას ოკეანეში, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, ახორციელებდნენ დიდი ხნით ადრე, სანამ ქრისტეფორე კოლუმბი ამერიკას აღმოაჩენდა. გარდა ამისა, აღნიშნა ტურ ჰეიერდალმა, ნაოსნობისას, რომელიც ორ თვეზე მეტ ხანს გასტანს, აწარმოებენ მეცნიერულ-კვლევითს მუშაობას ოკეანოგრაფიის დარგში.

პაპირუსის ნავი „რა-2“ ააგეს ბოლივიელმა ინდიელებმა, რომლებიც საფაში იყვნენ მიწვეული. სამენი მასალა — პაპირუსი — ჩამოიტანეს ეთიოპიიდან. გემის მშენებლობისა და აღჭურვის მთელ სამუშაოს ხელმძღვანელობდა თვით ტურ ჰეიერდალი.

გუშინ დილით მაროკოს რამდენიმე კატარღამ ბუქსირით წაიყვანა ბულად ზღვაოსანთა ნავი საფის ნავსადგურიდან და გაშალა რა იალქანი და აღმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალამი, „რა-2“ ზურგს ქარით გავიდა გაშლილ ოკეანეში. დაიწყო მეორე „პაპირუსის რეისი“.

საქართლიანი მოთხოვნა

ნიუ-იორკი, 18 მაისი. (საკდესი). გამოვიდა რა გუშინ ტელევიზიით, დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ამერიკის შეერთებული შტატების სენატში მაიკ მენსფილდმა განაცხადა, რომ შეიტანს შესწორებას, რომელიც ითვალისწინებს, რომ წლის დამლევს შეწყდეს ასიგნებანი ამერიკის შეერთებული შტატების ყველა საომარი ოპერაციისათვის ინდოჩინეთში.

საბჭოთა სენეგალი მსახიობების გასტროლები

დაკარი, 18 მაისი. (საკდესი). როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, საბჭოთა მსახიობების გასტროლები დიდი მოვლენაა სენეგალის კულტურულ ცხოვრებაში. აქ სტუმრად არიან ქართული ფილარმონიის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი და მოსკოვის ესტრადის მსახიობები. გუშინ გაიმართა მათი პირველი კონცერტი დაკარის დანიელსორანის სახელობის ეროვნულ თეატრში. გულთბილად შეხვდნენ მაყურებელნი რუსული და ქართული სიმღერების და საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერების შესრულებას.

საზოგადოებრიობის თხოვნით საბჭოთა მსახიობები აფრიკის სხვა ქვეყნებში გამგზავრების წინ კიდევ რამდენიმე კონცერტს გამართავენ სენეგალში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომა

პრაღა, 16 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავისა და განთავისუფლების სოციალისტურ ბუნებაზე ჩეხოსლოვაკიის დადგომის დღესასწაულების შედეგები. როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა დიდმა უმრავლესობამ გულწრფელად დაუჭირა მხარი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის სექტემბრის პლენუმის მოწოდებას კომუნისტებისადმი, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ყველა მშრომელისადმი გაეჩაღებინათ შრომითი ინიციატივა საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის აღსანიშნავად.

სხდომის შესახებ გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ პოლიტიკური ცხოვრება რესპუბლიკაში გახდა მშვიდი, გაუჯობესდა ეკონომიური მდგომარეობა, სრულდება 1970 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებანი, შეჩერდა ფასების ზრდა, გრძელდება აქტუალური სოციალური პრობლემების გადაჭრა.

თავიანთი პოზიციითა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის, პირველი მაისისა და საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულებში აქტიური მონაწილეობით მუშათა კლასმა და პრაღის, ბრატისლავისა და რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა ნათლად უჩვენეს მთელს მსოფლიოს, თუ ვის მხარეზე დგანან და ვისთან ერთად მიდიან ისინი.

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკისა და მუშაობის შედეგად კონსოლიდაციის საქმე ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. იზრდება ნდობა პარტიის პოლიტიკისა და მისი ახალი ხელმძღვანელობისადმი. მაისის დღესასწაულობამ ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ ეს ზეიმობანი გახდა პარტიის ინტერნაციონალური პოლიტიკის საყოველთაო-სახალხო მხარდაჭერის, სსრ კავშირთან და სხვა მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან კავშირის მხარდაჭერის დემონსტრაცია, ხაზგასმულია კომუნიკეში.

მოძმე სოციალისტური ქვეყნების პარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობების დელეგაციები დასწრნენ იმ დღესასწაულებს, რამაც დაადასტურა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების სიმტკიცე და ამავე დროს გახდა იმ ურთიერთობისა და მეგობრობის სრული ნორმალიზაციის გამოხატულება, რომლებიც ჩვენი ქვეყნების ხალხებს ერთმანეთთან აკავშირებს.

მიმდინარე წლის დღესასწაულებს ისტორიული მნიშვნელობა მიანიჭა, ხაზგასმულია კომუნიკეში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობამ და ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ახალი ხელშეკრულების დადებამ იგი უფრო ნათელი გახადეს. ჩვენი ხალხი ხელშეკრულებას შეხვდა მტკიცე რწმენით, რომ მხოლოდ საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფს სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის მომავალს. ახალი ხელშეკრულება ხელსაყრელ წანამძღვრებს ქმნის მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის დანარჩენ სახელმწიფოებთან სამოკავშირეო ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა დელეგაციის მხურვალე მიღება, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მიტინგი პრაღის კრემლში ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, 9 მაისის ზეიმი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში მაისის დღესასწაულთა მთელი მიმდინარეობა და ხასიათი უცილობლად მოწმობენ ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ძალასა და ცხოველმყოფელობას. ამით კვლავ დადასტურდა, თუ როგორ ღრმად დამკვიდრდა ჩეხოსლოვაკიელი ხალხის ფიქრებსა და გრძნობებში ლოზუნგი „მარად საბჭოთა კავშირთან!“. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხმა მთელ მსოფლიოს დამაჯერებლად უჩვენა, რომ მტკიცედ დგას საბჭოთა კავშირის მხარეზე და რომ მასთან სამოკავშირეო ურთიერთობა მიაჩნია თავისი ეროვნული არსებობისა და სოციალისტური განვითარების ძირითად გარანტიად.

შემდეგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ 9 მაისის დღესასწაულმა და განსაკუთრებით სამხედრო პარადმა მთლიანად დაადასტურეს, რომ ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმია, უმაღლესების ორგანოები და სახალხო მილიცია წარმოადგენენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების არმიათა ურღვევი კავშირის ნაწილს, სოციალიზმის მტკიცე ბურჯს.

ქვეყნის ეკონომიკის კონსოლიდაციის შესახებ მიღებულ ღონისძიებათა თანამიმდევრული განხორციელება მოითხოვს ჯერ კიდევ ბევრ მეცადინეობას, ხაზგასმულია დასასრულ კომუნიკეში. ხალხის შემოქმედებითი აქტივობის ღრმა რწმენით ვიწყებთ ასაო რთულ ამოცანათა შესრულებას.

საჩუქრად სუდანს

● ხართუმი, 18 მაისი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის სახელით სსრ კავშირის ელჩმა სუდანში ა. ნ. ნიკოლაევმა საჩუქრად გადასცა სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს ორი კინოლენტი — „ცოცხალი ლენინი“ და „დრომა მსოფლიოში“. ორივე კინოფილმი გადაეცა რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ბაბიკერ ავადალას.

ბაზრობა გაიხსნა

● კაირო. (საკდესი). აქ გაიხსნა კაიროს საერთაშორისო საგრეხვეული ბაზრობა. ბაზრობაში მონაწილეობას ჰი ქვეყანა.

დიდად მოხარული ვართ, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ბაზრობის ადმინისტრაციული საბჭოს თავმჯდომარემ მუჰამედ ალბამაუიმ, რომ წელს ბაზრობაში მონაწილეობს საბჭოთა კავშირი.

კაიროს საერთაშორისო სამრეწველო ბაზრობა, — ხაზი გაუსვა შემდეგ მან, უეჭველია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დიდი წარმატებაა.

ამერიკის შეერთებული შტატები

სენატის საბჭოს სესია

ვაშინგტონი, საკდესის კორესპონდენტი ე. ჩუქსეევი გვატყობინებს:

აქ დამთავრდა სენატის საბჭოს მე-17 სესია, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა. სესიაში მონაწილეობდნენ ვაშინგტონში ჩამოსული ინგლისის, თურქეთისა და ირანის საგარეო საქმეთა მინისტრები. ამერიკის შეერთებული შტატებისაგან, რომელიც ფორმალურად არ ითვლება ამ სამხედრო ბლოკის წევრად, „მეთვალყურეთა“ დელეგაციას მეთაურობდა სახელმწიფო მდივანი როჯერსი.

სესიის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია: პრეზიდენტმა ნიქსონმა „კვლავ დაადასტურა, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს სენტოს“. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ვაშინგტონში გამართულ სხდომებზე განიხილეს მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემები, მათ შორის ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სპარსეთის ყურის რაიონში, კვიპროსში შექმნილი მდგომარეობა და სხვ.

სამხედრო საქმიანობაზე, რომელიც ამ ბლოკის არსს შეადგენს, პრაქტიკულად კომუნიკეში აფიერი არ არის ნათქვამი. მისი ავტორები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ განცხადებით, რომ „მოიწონა რა სამხედრო კომიტეტის მონასენება, საბჭომ ხაზი გაუსვა თანამშრომლობის სხვადასხვა დარგში მიღწეულ პროგრესს“.

ვაშინგტონის სესიის გახსნამდე გამოქვეყნებული დოკუმენტები ნათელს ფენენ სენტოს საქმიანობის ამ მხარეს. დოკუმენტები მოწმობენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ინგლისის აქტიური მხარდაჭერით მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს ბლოკის სამხედრო პოტენციალის განმტკიცებისათვის — მისი არსებობის მანძილზე შეერთებულმა შტატებმა სენტოს სამხედრო მექანიზმს რამდენიმე მილიარდი დოლარი მოანმარა. ამასთან ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის სამხედრო წრეები პრაქტიკულად ეხმარებიან თავიანთ პარტნიორებს მათი შეიარაღებული ძალების დაგეგმვაში, ორგანიზაციასა და მომზადებაში. ასეთი მომზადების ერთ-ერთი ფორმაა ერთობლივი მანევრები ამერიკის ქვეგანაყოფების მონაწილეობით.

სენტოს საბჭოს შემდეგი სესია გაიმართება 1971 წლის მაისში.

პოლიციელთა ვერსია ჩაიფუშა

ნიუ-იორკი, საკდესის კორესპონდენტი ე. ბასკაკოვი გვატყობინებს: სამარცხვინოდ ჩაიფუშა ჩიკაგოს პოლიციელ ხელისუფალთა ცდები გაემართლებინათ გასული წლის 4 დეკემბრის მათ მიერ მოწყობილი თავდასხმა იმ ბინაზე, სადაც „შავი პანთერის“ პარტიის წევრები იყვნენ. ამ თავდასხმის დროს მოკლულ იქნა ზანგთა ორი ლიდერი—ფ. ჰემპტონი და მ. კლარკი.

პოლიციამ წარადგინა ამ ამბის საკუთარი ვერსია, რომლის თანახმად პოლიციის რაზმებმა ცარიელი ხმლებით, თითქოს „თვითდაცვის“ მიზნით. ამერიკის „მართლმსაჯულების“ ტრადიციების შესაბამისად, ცოცხლად დარჩენილ შვიდ ზანგს წაუყენეს ბრალდება, თითქოს ისინი ესროდნენ პოლიციელებს.

თითქმის 4 თვის გამოძიების შედეგად ჩიკაგოს ფედერალური დიდი ჟიური მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სრულიად დაუსაბუთებელია პოლიციელთა ვერსია. ჟიურის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ თავდასხმაში მონაწილე 14 პოლიციელის ჩვენებანი „არ შეესაბამებიან ნივთიერ მტკიცებულებებს“. სხვა „მოწმეები“ კი ბრალდებას არ აღმოაჩენდა.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წერს, ჟიურიმ აღნიშნა აგრეთვე, „რომ „ჩიკაგოს პოლიციის ლაბორატორიამ ჩაიდინა არაერთი სერიოზული შეცდომა, როცა მიზნად დაისახა ეპოვნა მტკიცებულებანი 4 დეკემბრის ინციდენტის პოლიციელთა ვერსიის მხარდასაჭერად“.

ჟიურის წევრებმა უარყვეს აგრეთვე პოლიციის მტკიცება იმის შესახებ, რომ „შავი პანთერის“ პარტიის წევრებმა თითქოს 10-15-ჯერ ესროდნენ პოლიციელებს.

მაგრამ ვერც ქალაქის ხელისუფლებამ, ვერც დიდმა ჟიურიმ ვერ გაბედეს, რომ დამსახურებულად დაესაჯათ ზანგთა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლებზე სისხლიანი თავდასხმის დამნაშავენი. ჟიურიმ ამ შემთხვევაში ვერ დასვა ყველაზე მთავარი საკითხი — საკითხი ორი ზანგი ლიდერის დახოცისათვის პოლიციის ხელისუფალთა პასუხისმგებლობის შესახებ.

სიტყვები და საქმენი

ვაშინგტონი, 18 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიის ეროვნული უშიშროებისა და მეცნიერული განვითარების საკითხთა ქვეკომისიამ პრეზიდენტ ნიქსონს ბრალად დასდო, რომ არ ასრულებს თავისსავე დაპირებებს, დიმტკიცებინათ ხელშეკრულება ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აკრძალვის შესახებ.

ქვეკომისიის მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ თუმცა პრეზიდენტმა ჯერ კიდევ ხუთი თვის წინათ გამოცხადა, რომ განზრახული აქვს სენატ

ღირსეული შეხვედრა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს!

საპაჭიო ჯილდო, დიდი საზრუნავი

შეჯიბრება ახალი ძალით გაჩაღდა

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები დიდი პოლიტიკური აღმავლობით ემზადებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ამომრჩევლები დეპუტატებთან შეხვედრის დროს განსაკუთრებულ ხაზს უსვამენ იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც დასახულია ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა შესასრულებლად.

ამას წინათ საქართველოს მშრომელებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი შრომითი აღმავლობის ვითარებაში აღნიშნეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავი. ჩვენი სოფლის მშრომელებმა ამ დიდ თარიღთან დაკავშირებით არაერთი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს, ბევრი რაიონი, აბრეშუმ კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა დაჯილდოდა სამახსოვრო სიგელით, გარდამავალი დროშით.

ბაღალი ჯილდოს შესანარჩუნებლად, აბრეშუმ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავთან დაკავშირებით კვლავ გაჩაღდა სოცშეჯიბრება.

დღეს ვბეჭდავთ მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორ მოიპოვეს საპატიო ჯილდოები, რას აპირებენ, რომ კვლავაც იყონ მოწინავენი, დროშის მფლობელნი.

სურათზე: ვაზის წამლობა სიღნაღის რაიონის ხირსის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ნ. ბერეშვილისა.

ასე შრომობენ და იბრძვიან სოფლის მშრომელები საკავშირო ჯილდოს საკავშირო ბაღლეულობათა ვალდებულებათა შესასრულებლად

ქიწნისის ბაღლეულის გარაჟა

იქნება 1.700 ტონა ხილი!

ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის ხეხილის ბაღები სიმდიდრის წყაროა. ბაღებიდან მიღებული შემოსავალი სოფლის კეთილდღეობას, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებას ხმარდება. ამიტომ არის, რომ ჩვენი მშრომელები ყოველთვის ხალისით შრომობენ. ისინი ზოგჯერ დღეში ორ და სამ ნორმას ასრულებენ. ასეა ახლაც, ხეხილის ბაღებში ენერგიულად შრომობენ მ. ინაური, ბ. ლაფაჩი, ვ. მარგოსიანი, მ. ინაური, ბ. ინაური, თ. ლაფაჩი და სხვები.

ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ ჩვენს ქვეყანაში შრომა სათანადოდ ფასდება. ავიღოთ თუნდაც ამ დღეებში მომხდარი საინტერესო ამბავი. ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელი გადმოვაცეს. ბანა ეს ცოტაა. ეს მშრომელი კაცის გარჯის ჯეროვანი შეფასებაა.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე ეს მაღალი ჯილდო კიდევ უფრო ბევრს გვავალებს. წლევანდელ წელს, საიუბილეო წელს გაცილებით უკეთესი უნდა იყოს მეურნეობის ეკონომიური მაჩვენებლები, ვიდრე შარშან. თუმცა არც შარშანდელ სამეურნეო წელზე გვეთქმის საყვედური.

ჩვენ თავის დროზე ბრიგადებში, უბნებსა და მეცხოველეობის ფერმებში ფართოდ გავშალეთ ვ. ი. ლენინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის (მდივანი გ. ქერდიყოშვილი), თვითეული კომუნისტის თავდადებული შრომით, რომლებმაც თავიანთი პირადი მაგალითით გაიყოლეს უპარტიო მასები, წარმატებით შეავასრულეთ საწარმოო გეგმები და ნაკისრი ვალდებულებები.

მიუხედავად ამისა არაზელსაყრელი პირობებისა, მეურნეობის მაპროფილებელ დარგში — მეხილეობაში დამზადების გეგმა გადაჭარბებით შეავასრულეთ. მოკრიფეთ და ჩვენი ქვეყნის მშრომელებს გავუგზავნეთ 1.953 ტონა ხილი ნაცვლად 1.600 ტონისა. აქედან 1.450 ტონა ხარისხიანი ხილი იყო.

ამ საქმეში დიდი წვლილი მთავარ აგრონომსაც მიუძღვის. მისი უშუალო მითითებით ეყრებოდა საფუძველი წლევანდელი წლის მოსავალს. ხილის ბაღები თავის დროზე დამუშავდა, ხეხილი შეიწამლა. ამასთან მინერალური სასუქები ბაღებში დროულად შეიტანეთ. ყველა პირობა შეიქმნა იმისათვის, რომ სასახელო მაჩვენებლებით დავამთავროთ საიუბილეო წელი და შევასრულოთ დიდი ჯილდოს სიპასუხოდ ნაკისრი ვალდებულებები.

წელს სახელმწიფოს უნდა მივაყიდოთ 1.700 ტონა ხარისხიანი ხილი. გეგმა კი 1.585 ტონას ითვალისწინებს. გადიდებული ვალდებულებები ეკისრეთ აგრეთვე ბოსტნეულის, ყურძნის, მეცხოველეობის და სხვა პროდუქტების დამზადების საქმეში.

უნდა ითქვას, რომ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. მიმდინარე წლის სამ თვეში სახელმწიფოს ნაცვლად 30 ცენტნერისა მივყიდეთ 60 ცენტნერი ხორცი, ნაცვლად 320 ცენტნერისა 560 ცენტნერი რძე. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა პირნათლად შეასრულეს ავრეთვე ღორების გასუქებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. უკვე ჩაბარეთ 120-ზე მეტი ღორი.

მეურნეობის მეცხოველეები ს. ლაფაჩი, ნ. ცოტნაშვილი, ნ. არჩუაძე და სხვები გვპირდებიან, რომ 100 ძროხაზე შეინარჩუნებენ და გაზრდიან 97 ხბოს. თვითეულ საფურაკი ძროხაზე ნაცვლად 2.350 ლიტრისა მიიღებენ 2.500 ლიტრ რძეს.

ქიწნისელებს სიტყვის გატეხა არ სჩვევიათ. იტყვიან და შეასრულებენ კიდეც. ამას გვავალებს მაღალი ჯილდო. ჩვენ ახლა ერთი დევიზით ვშრომობთ — გორის რაიონის მშრომელებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში, სასახელო მაჩვენებლებით შევხვდეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

ა. ჯაჯანიშვილი,
გორის რაიონის ქიწნისის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ვიკისრეთ, შევასრულებთ

კომუნისტები წინა ხაზზე

სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მუშაობის პრაქტიკაში, წლების მანძილზე ტრადიციულად დამკვიდრდა გეგმა-ვალდებულებების ვადამდე შესრულება. განსაკუთრებულად იზრდება მეურნეობის ეკონომიკა. ფულადი შემოსავლის ძირითადი წყაროა ჩაის კულტურა. უკანასკნელ წლებში ჩაის წარმოებამ 2.270 ტონას მიაღწია. ხუთწლედის მეოთხე წელს კი რუხელმა მეჩაიეებმა სახელმწიფოს მიაყიდეს 2.274 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.928 ტონისა.

ფულადმა შემოსავალმა მარტო მეჩაიეებისან 1.864.000 მანეთი შეადგინა, სოლო კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 2.067 ათასი მანეთი, რაც დაგეგმილს 290000 მანეთით აღემატება. როგორც ჩაის წარმოების, ისე საუალო მოსავლიანობის მიხედვით ჩვენს კოლმეურნეობას რაიონში პირველი ადგილი უჭირავს. შარშან საშუალოდ ჰექტარზე მოღებულ იქნა 6.700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ყოველი წარმატებისათვის ბრძოლას სათავეში უდგას პარტიული ორგანიზაცია. იგი თავის რიგებში 127 კომუნისტს აერთიანებს და წამყვან ძალას წარმოადგენს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. კომუნისტების განაწილება წარმოების მთავარ უბნებზე ყოველთვის იყო და იქნება გადამწყვეტი ფაქტორი. კომუნისტების ორგანიზატორულმა მუშაობამ განაპირობა ის წარმატებანი, რომლებიც რუხელმა მშრომელებმა მოიპოვეს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ მანქანა „საქართველოთი“ მოკრიფა 147 ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ 3-ჯერ მეტი, ვიდრე 1968 წელს. წელს გათვალისწინებულია მექანიზებულად მოკრიფოს 200 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დანერგვის შედეგად ხუთწლედის მეოთხე წელს 1968 წელთან შედარებით ჩაის თვითღირებულება 6 პროცენტით შემცირდა, მეჩაიეობის ყველა ბრიგადამ და რგოლმა გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის დავალება.

ჩვენს კოლმეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს მეცხოველეობას. გასულ წელს მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 1.760 ცენტნერი რძე, 345 ცენტნერი ხორცი.

კოლმეურნეობის 20 საწარმოო ბრიგადას კომუნისტები ხელმძღვანელობენ. მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს 7 კომუნისტი. ამდენივე მექანიზატორია. მატერიალური დოლათის შექმნაში უშუალოდ მონაწილეობს 93 კომუნისტი, 25 კომუნისტი პენსიონერია, მაგრამ მათი უმრავლესობა მონაწილეობს მატერიალური დოლათის შექმნაში. მაგალითად, ბარნაბა თოდუა, ბაგრატ ჯანაშია, ვალერიან როგავა, აკესენტი ბუღორდავა, თეიდორე ჭკადუა, სანდრო ფარცვანია და სხვები.

შექმნილია 15 საბრიგადო პარტიული ორგანიზაცია. ისინი თავიანთ მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებებს წარმართავენ კომუნისტებისა და უპარტიო მასების შრომითი აქტივობის ასამაღლებლად. კომუნისტები იდეურ-თეორიულ დონეს. იმაღლებენ პოლიტსკოლებში. აღსანიშნავია პროპაგანდისტების ა. კუტალიას (მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შემსწავლელი სკოლის ხელმძღვანელი) და შ. ლეთანძის (დაწყებითი პოლიტსკოლის ხელმძღვანელი) ნაყოფიერი მუშაობა.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში სახელი გაითქვა ვეტერანმა მეჩაიემ, სოციალისტური შრომის გმირმა, კომუნისტმა ადელინა ფარცვანიამ, რომელმაც 0,5 ჰექტარზე მოკრიფა 6.250 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ფლიური დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა. მაღალ მაჩვენებელს მიაღწია ვეტერანმა მეჩაიემ, კომუნისტმა თამარ გაბეშავამ. მათს სახელოვან ტრადიციებზე აღიზარდნენ ახალგაზრდა კომუნისტები ლეილა ბულია, ნუცა გუნავა, გული ფაჩავა, დიანა გელენიძე და სხვები.

კოლმეურნეობამ კარგად დაიწყო საიუბილეო წელი. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაფართოებლად. წელს სახელმწიფოს მივცემთ 2.300 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს ნაცვლად 2.116 ტონისა. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიეყიდება 140 ცენტნერი რძე, 100 ცენტნერი ხორცი, 30 ცენტნერი აბრეშუმის პარკი, 100 ცენტნერი სიმინდის მარცვალი.

ჩვენი კოლმეურნეობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუდმივი მონაწილეა. მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ იგი დაჯილდოებულია ოთხი პირველი ხარისხის და სამი მეორე ხარისხის დიპლომით, ერთი საპატიო დიპლომით. 70 კოლმეურნე და სპეციალისტი დაჯილდოებულია ორქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებითა და ფულადი საჩუქრებით.

1966-1967 წლების მუშაობის შედეგების მიხედვით კოლმეურნეობას მინიჭებული ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკავშირო პროფსაბჭოს ბარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საიუბილეო დღეებში ჩვენს კოლმეურნეობას საზეიმო ვითარებაში გადაეცა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელი.

რუხელი კომუნისტები და მშრომელები ამ მაღალ ჯილდოს ახალი მიღწევებით უპასუხებენ, ისინი არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, რათა სასახელოდ შეასრულონ საიუბილეო წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და ამით ახალი გამარჯვებებით შეხვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

ჯ. ჯიჯეხიშვილი,
ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი.

დროშა გვავალებს

40.000 ტონა მარცვლეული,
20.000 ტონა ყურძენი!

„პარიზის კომუნის“ მემინდვრეებმა 592 ჰექტარი ნათესის ჰექტარზე საშუალოდ 29,9 ცენტნერი მარცვალი მიიღეს, ხოლო 402 ჰექტარი საშემოდგომო ხორბლის ნათესის ყოველ ჰექტარზე — 34,4 ცენტნერი.

კარგი მაჩვენებლები აქვთ ულიანოვკელ მხვნელ-მთესველებს. მათ 984 ჰექტარზე ეთესათ მარცვლეული. საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 24,5 ცენტნერი მარცვალი, ხოლო ხორბალი — 27,2 ცენტნერი.

ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას 1.300 ჰექტარზე ეთესა პურეული. საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 22,9 ცენტნერი მარცვალი.

გასულ წელს მარტო მემინდვრეებმა როდი ისახელეს თავი. რაიონმა დიდი გადამეტებით შეასრულა ყურძნის, მზესუმზირას, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 24.633 ტონა ყურძენი. წლიური გეგმა შესრულდა 158 პროცენტით. ტიბაანის კოლმეურნეობამ ნაცვლად 48 ცენტნერისა ჰექტარზე 82,2 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხარისხის საბჭოთა მეურნეობამ კი ნაცვლად 50 ცენტნერისა 81 ცენტნერი. სასახელო მაჩვენებლებს მიაღწიეს ძველი ანავის, ბოდბისხევის, ჯუგაანის კოლმეურნეობებმა, ტიბაანის საბჭოთა მეურნეობამ.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ უშრომლად არაფერი არ მოდის. შრომის ფრონტზე გამარჯვებას ზემდგომი ორგანოები როცა დიდი ჯილდოთი აღნიშნავენ, მაშინ სიამაყესთან ერთად პასუხისმგებლობის გრძნობაც მატულობს.

ნელ რაიონის მშრომელთა ვალდებულებაა აფარმოონ 40.000 ტონა მარცვლეული, 118.452 ცენტნერი ყურძენი, 43.460 ცენტნერი მზესუმზირა, 33.500 ცენტნერი ბოსტნეული, 64.000 ცენტნერი რძე, 27.000 ცენტნერი ხორცი. 3.090 ცენტნერი მატყლი და სხვ. სახელმწიფოს ჩიკუიდით —7.000 ტონა მარცვლეულს, 20.000 ტონა ყურძენს, 3.100 ტონა მზესუმზირას, 2.100 ტონა ხორცს. 4.800 ტონა რძეს, 2.800 ათას ცალ კვერცხს და სხვ.

ამ ვალდებულებებს როცა ვკისრულობდით, ჩვენთან სტუმრად იყვნენ როსტოვის ოლქის ვეშენსკაიას რაიონისა და გორის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. ჩვენ ამ რაიონებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ვართ ჩამბული. ჩვენი მეგობრებისათვის მიცემული სტატკა ეხება ერთ-მეორე ერთი იქნება, ნაკისრი ვალდებულებანი უთუოდ გადამეტებით შესრულდება.

რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ბაღვენახებში პურეულის ნათესებში შემოდგომა-ზამთრისა და საგაზაფხულო სამუშაოები ავროვადებში და ამასთან მაღალხარისხოვნად შესრულდა. ეს კი იმის მტკიცე გარანტიას გვაძლევს, რომ წელს მოსავლიანობის გეგმებს გადამეტებით შეავასრულებთ.

მეცხოველეებმა გმირულად იშრომეს, კარგად გამოაზამთრეს პირუტყვი. მეცხვარეებმა ნამატის მიღებისა და შენარჩუნების ვალდებულებები სასახელოდ გაანაღდეს და ახლა საზაფხულო იალაღებზე ცხვარს მიერეკებიან. ჩვენი მეცხოველეების ნაყოფიერ შრომაზე ისიც მეტყველებს, რომ პროდუქტების წარმოებისა და დამზადების პირველი კვარტალის გეგმები დიდი გადამეტებით შესრულეს და პირნათლად წარსდგნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეზე.

ზემოთაც აღვნიშნე, რომ რასაც მივაღწიეთ, ზღვარი არ არის. ჩვენ გვაქვს საკმაო რეზერვები, რომელთა ამოქმედება უთუოდ დაგვეხმარება პროდუქტების წარმოებასა და გაიაფებაში.

ცნობილია, რომ ენერგიში აგროტექნიკური ღონისძიებების უარისხოდ, დაგვიანებით შესრულება ამცირებს ყურძნის მოსავლიანობას, მაგრამ სიმეჩხერე უფრო მეტ ზარალს აყენებს საზოგადოებრივ მეურნეობებს. ენერგიში შრომის ნაყოფიერება იმდენად მცირდება, რამდენადაც იგი მეჩხერია. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში ენერგიის სიმეჩხერე 15 პროცენტს აღწევს. ამ საკითხზე სათანადოდ ვიმსჯელეთ. მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად ერთსულოვნად დაირაზმნენ მევენახეები. მიმდინარე წლის ზამთარში და ადრე გაზაფხულზე სიმეჩხერის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელების შედეგად წარმატებებია მოპოვებული, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მომავალ შემოდგომაზე და ზამთარში კვლავ დიდი შრომის დახარჯვა მოელით ჩვენს მევენახეებს, რომ აღმოფხვრან სიმეჩხერე.

როგორ არის რაიონში რწყვის საქმე?

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა რწყვის გასაუმჯობესებლად. ახლა ყველასათვის ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რწყვას, სარწყავი მიწების გონივრულად გამოყენებას. რწყვის ხაქმის გასაუმჯობესებლად რაიონში საკმაო ღონისძიებები განვახორციელეთ და ჩვენი სარწყავი ჰექტარი წელს უთუოდ მაღალნაყოფიერი იქნება.

ბოლო დროს უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ნახირისა და ცხვრის ფარის სტრუქტურის გაუმჯობესების საქმეს. მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის ცხვრის საერთო სულადობაში დედა-ცხვრის სულადობა 63 პროცენტი იყო, ხოლო მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობაში ძროხის სულადობა — 34 პროცენტი.

ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ დედა-ცხვრის რაოდენობა გაიზარდოს 70-75 პროცენტამდე. ხოლო ძროხისა 35-40 პროცენტამდე, რაც დაახლოებით 500.000 მანეთით გაზრდის შემოსავალს.

რეზერვები უთუოდ უნდა ავამოქმედოთ, გამოვიყენოთ ყოველგვარი ღონისძიებები, უნდა ვეცადოთ, რომ ლენინის საიუბილეო წელს უფრო მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიოთ, რომ ახალი წარმატებებით შეავგებოთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. ასეთია ჩვენი გადაწყვეტილება, ამას გვავალებს დიდი ჯილდო— გარდამავალი დროშა. ამასვე ფიქრობს რაიონის ყველა შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და კვლავაც მოწინავეთა რიგებში იქნებიან.

ი. ჩხაიძე,
ლანჩხუთის რაიონის ზემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სიმდიდრის წყარო

440 ტონა ჩაისათვის!

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემოაკეთის კოლმეურნეობაში ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის დავალებები. ამიტომ იყო, რომ 1967-1968 წლებში დაგვაჯილდოეს საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშით.

კარგად გვესმის, რომ ყველა წარმატების საწინდარი ორგანიზებული შრომაა.

შარშან მორიგი გამარჯვება მოვიპოვეთ. 1969 წელს მრეწველობას ჩვენაბარეთ 388 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ამ მიღწევების შედეგად ყოველწლიურად იზრდება ფულადი შემოსავალი. შარშან მივიღეთ 439.095 მანეთი, ე. ი. 103.730 მანეთით მეტი დაგეგმილთან შედარებით.

ამ წარმატებით კვლავ გაიხარეს ჩვენმა მშრომელებმა. მათი ამაგი ღირსეულად იქნა დაფასებული. ვ. ი. ლენინის საიუბილეო დღეებში საზეიმო ვითარებაში გადმოგვეცა. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელი.

ჩვენი შრომის ასეთი მაღალი შეფასებისათვის წელს უფრო გადიდებული ვალდებულებები ვიკისრეთ. სახელმწიფოს ჩაგარბოთ 440 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს. ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულებას შევამცირებთ 10 პროცენტით.

ზემოაკეთელი მშრომელები ჩვეული ენერგიით შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის და კვლავაც მოწინავეთა რიგებში იქნებიან.

ი. ჩხაიძე,
ლანჩხუთის რაიონის ზემო აკეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

შეჯიბრების ძალა

დვანელები ახალი ზღუდეებისათვის იბრძვიან

ნილად მხვდა ბედნიერება როგორც დელეგატს, მონაწილეობა მიმეღო კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო მესამე ყრილობის მუშაობაში. ყრილობამ ერთსულოვნად აღიარა ლენინის კოოპერაციული გეგმის გამარჯვება, ამ საფუძველზე საკოლმეურნეო მშენებლობაში მოპოვებული დიდი წარმატებები. ყრილობის მიერ მიღებული კოლმეურნეობის ახალი სანიმუშო წესდების საფუძველზე შემუშავდა ჩვენი სოფლის კოლმეურნეობის წესდება.

ეს დიდი მოვლენა დაემთხვა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს. კოლმეურნეობის გამგეობამ და პარტიულმა ორგანიზაციამ აქტივზე დაყრდნობით შეისწავლეს კოლმეურნეობაში არსებული რეზერვები, შესაძლებლობანი და გააჩაღეს თავდადებული შრომა ვ. ი. ლენინის იუბილეს ღირსეულად შესახვედრად.

დვანელმა მშრომელებმა ენერგია არ დაზოგეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის.

კარგად არის განვითარებული მეხილეობა. ხეხილის ნარგაევებს კოლმეურნეობაში 447 ჰექტარი უჭირავს. საშუალოდ ჰექტარზე მოვიღეთ 74,5 ცენტნერი ხილი ნაცვლად 45 ცენტნერისა. საერთოდ ხილის წარმოების გეგმა შესრულებულია 163,2 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების კვალობაზე გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვის გეგმები. შარშან სახელმწიფოს მიეყიდა 244 ცენტნერი ხორბალი, 128 ცენტნერი ქერი, 12.940 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად 12.000 ცენტნერისა, 1.846 ცენტნერი ხილი ნაცვლად 760 ცენტნერისა.

წლების მანძილზე დვანელი კოლმეურნეები სასახელოდ შრომობენ და საამაყო მაჩვენებლებიც მოიპოვეს. მაღალიანმა, ნოყიერმა ფრონს ხეობის მიწებმა, სადაც განლაგებულია ხეხილის ბაღები და ვენახები, გაახარა მშრომელები. მეხილეთა თავდადებული შრომა ჯერ კიდევ 1966 წელს დიდად დააფასეს მშობლიურმა პარტიამ და მთავრობამ. ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის სერგო ბაცაკაძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. დვანელი მხვნელ-მთესველი, მექანიზატორი თუ მეხილე, მევენახე თუ მეპარტლე, მეცხოველე და მეაბრეშუმე, ყველანი შრომობენ დევიზით: სასახელოდ შევასრულოთ ყველა ნაკისრი ვალდებულება, მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ახალი წარმატებებით დავამთავროთ ვ. ი. ლენინის საიუბილეო 1970 წელი!

და ამ დღეებში დვანელმა მშრომელებმა კვლავ გაიხარეს. მათი შრომა დიდი ჯილდოთი აღინიშნა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის დვანის კოლმეურნეობა დაჯილდოეს ლენინის საიუბილეო საპატიო სიგელით.

ამ ჯილდომ დვანელები უფრო აღაფრთოვანა ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საბრძოლველად. ასეთი კარგი მუშაობის შედეგის, რომ სოფელი შეძლებული გახდა. იგი დიდად განვითარებული თანამედროვე სოფელია. დღეს დვანშია ერთი საშუალო და ერთი რვაწლიანი სკოლა, სადაც 420 ბავშვი სწავლობს. მათს აღზრდას 35 კვალიფიციური მასწავლებელი ემსახურება. სოფელში არის კეთილმოწყობილი მაღაზია, საბჭოს შენობა, ფოსტა, საპრიკმახერო, სამედიცინო დახმარების პუნქტი. სოფელი მთლიანად რადიოფიცირებულია. მოსახლეობის 70 პროცენტს დადგმული აქვს ცისფერი ეკრანი, სოფელში ორი კლუბი და ორი ბიბლიოთეკაა. ამჟამად დვანში მოღვაწეობს უმაღლესი განათლების მქონე 90 კაცი, ხოლო 150 კაცს საშუალო და სპეციალური განათლება აქვს.

მიღებული დიდი ჯილდოს პასუხად დვანელი მშრომელები უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს, ყოველი ღონისძიებით უზრუნველყოფენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. წელს დვანის კოლმეურნეობამ ვალდებულება აკისრა სახელმწიფოს მიაყიდოს **160 ტონა ხილი, 50 ტონა ყურძენი, 18.000 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 16.000 ცენტნერი ბოსტნეული, 240 ცენტნერი ხორცი, 550 ცენტნერი რძე.**

ჩვენი სოფლის მშრომელებმ პირობას აძლევენ პარტიასა და მთავრობას, რომ მთელ ენერგიას, ცოდნას, გამოცდილებას მოახმარენ ახალ წარმატებათა მოპოვებას, ნაკლები დანახარჯებით მკვეთრად გაადიდებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას, შეამცირებენ თვითღირებულებას.

ა. ბერიძე,
ქარელის რაიონის სოფელ დვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ყოველწლიურად ზრდიან პროდუქციის წარმოებას ქარელის რაიონის სოფელ დვანის კოლმეურნეობის მეცხოველეები. მიმდინარე წელს ისინი ვალდებულებენ წვეულადობის გეგმა 180 პროცენტით გაანაღდონ.

15 წელია შრომობს კოლმეურნეობაში მებბორე თინა ივანიშვილი და ამ დროის განმავლობაში მუყაითი მუშაკის სახელი დაიმკვიდრა. ამჟამად იგი 80 ხბოს უვლის. მოწინავე კოლმეურნე შრომასა და ზრუნვას არ აკლებს მოზარდეულს. სურათზე: დვანის კოლმეურნეობის მოწინავე მებბორე თინა ივანიშვილი.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს ომიდან - ბანკამდე

ლეგენდარული...

● ლეგენდარული დივიზიის მეთაურის ხსოვნა ● კიკვიძელები კიკვიძის მშობლიურ ქალაქში

საქართველოს საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა სამოქალაქო ომის გმირის, ლეგენდარული დივიზიის მეთაურის ვასილ კიკვიძის დაბადების 75 წლისთავი.

გმირის ხსოვნის პატივსაცემად თბილისში ჩამოვიდნენ ვეტერანი კიკვიძელები: პოლკის ყოფილი სამხედრო კომისარი, ვეტერან კიკვიძელთა საბჭოს თავმჯდომარე გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ი. ბეზუღლი, გადამდგარი მაიორი, ავტორი წიგნისა „დივიზიის ქალიმშვილი“ ო. ილინა, გადამდგარი პოლკოვნიკები გ. ბელოვი და ა. ერკოვიჩი, ვ. კიკვიძის სახელობის მე-16 დივიზიის კავშირგაბმულობის ყოფილი უფროსი ი. პანტელეევი, ამავე დივიზიის მსროლელი პოლკის შტაბის ყოფილი უფროსი, ამჟამად პოლკოვნიკი, სამხედრო ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი ნ. აზოგცევი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ მოწვევით კვირას, 17 მაისს, საქართველოში ჩამოსულ სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები თბილისის აეროპორტში.

იმავე დღეს ვეტერანი კიკვიძელები დაესწრნენ სამოქალაქო ომის გმირის ვ. კიკვიძის მემორიალური ოთახის გახსნას. ეს ოთახი გაიხსნა თბილისის პარკში, რომელიც ლეგენდარული დივიზიის მეთაურის სახელს ატარებს.

ვ. კიკვიძის ძეგლთან გამართული საზეიმო მიტინგი გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ურუშაძემ.

მიტინგის მონაწილეები გულთბილად მივესალმნენ გმირის დას ვ. კიკვიძეს.

შეკრებილთა თანამებრძოლზე მოგონებანი გაუზიარეს სტუმრებმა — ი. ბეზუღლიმ, ა. ერკოვიჩმა, გ. ბელოვმა, ი. პანტელეევმა და ო. ილინამ.

„ლეგენდარული თანამემამულის ხსოვნა მარად იცოცხლებს ჩვენს გულში!— ასე ილაპარაკეს ვ. კიკვიძის შესახებ მიტინგზე“ ომოსულმა ომის ვეტერანებმა, გადამდგარმა პოლკოვნიკმა მ. ბუსკაძემ, კომკავშირის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. სვანიშვილმა და სხვებმა.

ი. ურუშაძემ გაჭრა ლენტი. გმირის მემორიალური ოთახი გაიხსნა.

გამოფენა მოამზადეს მხატვარმა ვ. შინარიშვილმა და ვ. კიკვიძის პარკის სახელობის მუზეუმმა ო. დემურიშვილმა.

(საქდისი).

ქუთაისი... აქ დაიბადა, აღიზარდა და პირველი რევოლუციური ნათლობა მიიღო სამოქალაქო ომის ლეგენდარულმა გმირმა ვასილ ისიდორეს-ძე კიკვიძემ. სწორედ ამიტომ ქუთაისის მშრომელებმა განსაკუთრებით ფართოდ აღნიშნეს რევოლუციის ჭეშმარიტი რაინდის ვასილ კიკვიძის დაბადების 75 წლისთავი.

გუშინ ვეტერანი კიკვიძელები ქუთაისს ეწვივნენ. მათთან ერთად ჩამოვიდნენ ქართველი მხედართუფროსები — გადამდგარი გენერლები გ. ყურაშვილი, ნ. თავართქილაძე, გადამდგარი პოლკოვნიკი კ. სოხაძე, ვ. კიკვიძის და ვერა კიკვიძე მეუღლით და სხვები.

— თქვენს მშვენიერ ქალაქში,— თქვა ი. ბეზუღლიმ, — მეორედ ვარ. ქუთაისში ჩამოსვლამდე ჩვენ ვიყავით თბილისში. ორივე ქალაქმა მოგვხიბლა, მაგრამ განსაკუთრებით მოგვწონს ის, რომ ქართველი ხალხი ასე წმიდად და სათუთად ინახავს თავისი საამაყო შვილის ვასილ კიკვიძის ნათელ ხსოვნას.

ჩვენ, კიკვიძის სახელობის დივიზიის ვეტერანებმა ქუთაისის ახალგაზრდობისათვის თან ჩამოვიტანეთ მიმართვა — ამ მიმართვას „რომელიც 15 კიკვიძელი ვაწერთ ხელს, ვეტყოვით იმ თაობას, რომელიც 2017 წელს იზეიმებს დიდი ოქტომბრის რევოლუციის 100 წლისთავს. იმ დიად ისტორიულ თარიღამდე კი მიმართვა სათანადოდ იქნება შენახული...

კიკვიძელებმა თან ჩამოიტანეს და ქუთაისის მშრომელებს გადასცეს სამახსოვრო საჩუქრები და რელიკვიები, აგრეთვე იმ ადგილებიდან წამოღებული მიწა, სადაც დიდი სამამულო ომის დროს კიკვიძის სახელობის მე-16 მსროლელი დივიზია იბრძოდა, და კიკვიძის საფლავიდან აღებული ერთი მუჭა მიწა.

სამი საათისათვის კიკვიძელები ვ. ი. კიკვიძის ძეგლისაკენ გაემართნენ. აქ გაიმართა ლეგენდარული სარდლის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი.

კიკვიძელებმა და ქალაქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა გმირის ძეგლი ვენარგვინებით შეამკეს.

მიტინგი გახსნა საქართველოს კომკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. იმედაძემ. სიტყვები წარმოთქვეს 29-ე სამუალო სკოლის პიონერმა ალეკო კაჭარავამ, კიკვიძელმა ნ. აზოვციევმა, ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობმა, კიკვიძის როლის შემსრულებელმა ა. ხერხაძემ და სხვებმა.

საღამოს სახელმწიფო თეატრში გაიმართა ქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ლეგენდარული გმირის დაბადების 75 წლისთავს. საღამო გახსნა ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. ცქვიტინიძემ. მოხსენება წაიკითხა გენერალმა გ. ყურაშვილმა.

დასასრულ წარმოდგენილ იქნა ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „კიკვიძე“. (საკ. კორ.).

• • •

სურათებზე: მარცხნივ ზემოთ სამოქალაქო ომის გმირის ვ. კიკვიძის მემორიალური ოთახის კუთხე; ქვემოთ — ვეტერან კიკვიძელთა ჯგუფი თბილისის პარკში რომელიც გმირის სახელს ატარებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის დაბადების დღეა

□

პიონერთა ზეიმი

დღეს მთელი ჩვენი ქვეყნის პიონერია ზეიმობს თავისი ორგანიზაციის 48-ე გაზაფხულს, ორგანიზაციისა, რომელიც რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს.

წლის ულამაზესი თვე — მაისი დედოფლობს ახლა ჩვენს მიწაზე. ათასი ლამაზი ფერი შერწყმია ერთმანეთს და ირგვლივ სიცოცხლის საგალობელივით მოფენილა.

მაისი მარტო სილამაზისა და ვარდობის თვე როდია, იგი დიდი გამარჯვებებისა და დღესასწაულების თვეც არის. ყოველ 19 მაისს მთელ ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში ზეიმით აღინიშნება ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის დღე. პიონერული ორგანიზაცია ზრდის ნორჩებს კომუნისტური პარტიის საქმისათვის თავდადებულ, საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების ერთგულ ადამიანებად, უნერგავს მათ სოციალისტური სამშობლოს სიყვარულს.

დღეს სადღესასწაულოდ მორთულ რუსთაველის პროსპექტს ალისფერყელსახვევიანი გოგონები და ბიჭუნები მოედებიან. მწყობრი ნაბიჯით ჩაივლიან ნორჩი მედროშეები, მესაყვირეები, მედოლეები; აქვე იქნებიან მესაზღვრეები, კოსმონავტები, არტილერისტები. მედიცინის დები — ეგრეთ წოდებულ „ცისკრის“ თამაშობათა მონაწილენი... დიდი ლენინის ძეგლთან მოეწყობიან პიონერულ ხაზზე და ნათელი სახით, წკრიალა ხმით სამშობლოს კომუნისტური პარტიის საქმისათვის მზადყოფნას უპატაკებენ.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებში, სოფლებსა და დაბებში, ისევე როგორც თბილისში, ათასობით პიონერი აღნიშნავს ამ დიდ ტრადიციულ დღესასწაულს. საზეიმო ნაწილის შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის ყველა პიონერი შაბათობაში მიიღებს მონაწილეობას. ეს თბილისის პიონერთა მოწოდებაა, რომელსაც საქართველოს პიონერთა ყველა ხალხალმო, საქალაქო და რაიონული საბჭო გამოეხმაურა. მათ მიერ გამოშვებული თანხა ანადგურებს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის აშენებას მოხმარდება. ამით თავიანთ შრომითს წვლილს შეიტანენ პიონერთა საკავშირო ოპერაცია „ჩუკოტკაში“.

ნორჩების ზეიმით თენდება დღევანდელი 19 მაისი. ეს დიდებული ტრადიციაა, ტრადიცია ჩვენი მომავლის, ჩვენი იმედის, ჭეშმარიტად სიცოცხლის დღესასწაულისა.

ბ. დურგლიშვილი.

• • •

სურათზე: საჩხერის რაიონის სოფელ ორღულის რვაწლიანი სკოლის პიონერხლმძღვანელი რუსუდან მაჭარაშვილი პიონერებს აცნობს ახალ ამბებს.

ფოტო ი. დავითაშვილისა.

(საქდისის ფოტოქრონიკა).

ᲐᲑᲚᲐᲑᲣᲓᲐ

დანაშაულობათა კვალდაკვალ

რომ საქართველოს სსრ უსინათლოთა საზოგადოების ქალაქ გორის სასწავლო-საწარმოო წამოწყების საამქროში დაზგა ამუშავდა, ყველას უხარიდა პირველი ნაოფლარი, ყველა მოსწონდა კარგად დამზადებული ქილის თუნუქის სახურავები, მავთულის ბადეები, ფანჯრის კარნიზები.

მაგრამ ეს იყო თვალისსაჩვენა, მოჩვენება.

— ზოგს მართლა ბრმა-უსინათლოები ხომ არ ვგონივართ, ნემსის ყუნწში აქლემს გავაძვრენთ, — თქვა უსინათლოთა საზოგადოების გორის სასწავლო-საწარმოო წამოწყების საშტამპო-მექანიკური საამქროს უფროსმა იოსებ ჯანაშვილმა წარმოებაში პრიდუქციის ხარისხის გაუარესების ხარჯზე 9.396 მანეთის თუნუქი დაიგროვა. შემდეგ იგი უსინათლოთა საზოგადოების დირექტორ ბიბილაშვილთან შეთანხმებით ამ საზოგადოების საწარმოში ვითომდა გადასამუშავებლად მიიტანა. იქ კი მისი ძმა აბრამ ჯანაშვილი მუშაობდა. ამ თუნუქს ნახევარი ტონა რეზინის რგოლები მიაყოლა, რომლის დირებულება მთლიანად მიითვისა.

იოსებ ჯანაშვილი ცნობილია, როგორც საქმოსანი, კომერციული შუამავალი. მას შეტ სახელად „პატაკა“ შეარქვეს. დღეს რომ როსტოვში იყო, ხვალ სევასტოპოლში ამოპყოფდა თავს. თვითმფრინავებისა და მატარებლების განრიგი ზეადმინეკვნით იცოდა.

შემოდგომაზე ი. ჯანაშვილი სურნელოვანი ატმით და სარაიონთაშორისო საბითუმო მაღაზიის დირექტორის გიორგი გოგიჩაშვილის მიერ მიცემული ორი ცალი შეუვსებელი შტამპიანი ბლანკით ქალაქ კლაიპედის თევზის ქარხნის ხელმძღვანელობას ესტუმრა. იქვე შეავსო დასახელებული მაღაზიის მოთხოვნის სახით ბლანკი და საქმე გააჯახრაკა. ამ მაღაზიის სახელზე კლაიპედის თევზის ქარხნიდან გორში გამოგზავნა 5 ტონა თუნუქი და ერთი ცალი თუნუქის საჭრელი დაზგა.

გორის რკინიგზის სადგურიდან იოსებ ჯანაშვილის ძმამ აბრამ ჯანაშვილმა 5 ტონა თუნუქი უსინათლოთა საზოგადოებაში გაიქანა. შემდეგ ჯანაშვილმა იქვე თევზის საკონსერვო ქარხნიდან 25 ტონა თუნუქი გამოგზავნა.

გორის საბითუმო მაღაზიის დირექტორმა გოგიჩაშვილმა და სექციონერმა ბუთურაშვილმა თავის გზა გამოუნახეს არაწესიერი ხერელით მიღებულ თუნუქს. თაღლითობა ბოროტების კვალის დაფარვის მიზნით აღნიშნული თუნუქი ახალდაბის კოლმეურნეობას გადაეწერეს.

მაღაზიის გამგემ გ. გოგიჩაშვილმა თუნუქის საჭრელი დაზგაც რატომღაც ახალდაბის კოლმეურნეობას დაუთმო.

საბითუმო მაღაზიის სექციონერმა ბუთურაშვილმა თაღლითობაში ახალი, თავისებური წვლილი შეიტანა. ახალდაბის კოლმეურნეობამ ფაქტურით 1529,4 კილოგრამი ქილის სახურავების რეზინის რგოლები მიიღო. ბუთურაშვილმა ფაქტურაში ამ რიგხვის პირველი „ერთიანი“ ციფრი ამოშალა, რითაც ერთი ტონის საგასური თანხა ჩაიჯიბა.

ი. ჯანაშვილი ქალაქ კალინინგრადის თევზის საკონსერვო კომბინატის დირექტორის მოადგილე ბ. პოსკუნოვს დაუკავშირდა. გულთბილი საუბრის, ჭაჭის არყის მირთმევის შემდეგ სახელდახელოდ დაიწერა ხელშეკრულება. ჯანაშვილმა უსინათლოთა საზოგადოების გორის საწარმოო-სასწავლო წამოწყების სუფთა ბლანკზე დაწერა მოთხოვნა 10 ტონა თუნუქზე, დაუსვა ფიქტიური ნომერი და დირექტორის ყალბი ხელმოწერა. ამ მიმართვის საფუძველზე დასახელებულ თევზის საკონსერვო ქარხნიდან უკანონოდ იქნა გამოუზავნელი 5.964 მანეთის 9.820 კილოგრამი ფურცლოვანი თუნუქი, რაც შემოსავალში უკლებლივ გაატარა გორის უსინათლოთა საზოგადოების საშტამპო-მექანიკური საამქროს ბრიგადირმა, იოსებ ჯანაშვილის მეუღლემ თამარმა.

— ახლა მე მოვუვლი ამ თუნუქს, — თქვა იოსებმა და ჩანფიქრი რეალობად აქცია, ეს თუნუქიც თავის ჯიბის განაქელებას მოახმარა.

აბლაბუდას ქსელმა იმატა. ქალაქ სიმფეროპოლს ერთად ესტუმრნენ ი. ჯანაშვილი, მისი ძმა — გორის უსინათლოთა საზოგადოების თანამმრთველი ა. ჯანაშვილი, ამავე საწარმოში გაუფორმებლად მომუშავე ვინმე შ. ჯანაშვილი. მათ ხანგრძლივი ბაუბარი ჰქონდათ სიმფეროპოლის ხელოვნებისა და მათი გამოსწორების ღონისძიებათა შესახებ“.

ბიუროზე ითქვა, რომ აღნიშნულ საწარმოში კადრებით დაკომპლექტების საქმე ცუდად არის დაყენებული, საამქროთა ოსტატების, პასუხისმგებელ მუშაკთა თანამდებობები უჭირავთ საქმის უცოდინარ პირებს. დადგენილებაში აღინიშნა, რომ საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს გორის სასწავლო – საწარმოო წამოწყებას, იმავითად უწევს კონტროლს მის საქმიანობას, არ ეხმარება არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

შემდეგშიც პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ორჯერ იმსჯელა უსინათლოთა საზოგადოებაში შექმნილი მდგომარეობის, შესახებ, დამნაშავეები დასაჯა, მაგრამ აბლაბუდას ქსელის ძაფები მაინც ვერ ამოიკვეთა. მარტო კარგი დადგენილების გამოტანა საქმეს როდი შველის, სწორედ უსინათლოთა და ყრუმუნჯთა საზოგადოების კომუნისტების სიფხიზლის მოდუნებამ გააშვებინა ფრთები კომბინატორებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სოციუზრუნველყოფის სამინისტრო და უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმი სოგჯერ სხვა ორგანიზაციების მიერ გამოოკვეული მასალებით, ზოგადი თათბირებით გმაყოფილდებიან. არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლები არ ყოფილიყვნენ გორში დასასელებულ საწარმოთა მუშაობის შესამოწმებლად. რეგიზიორების აქტებიც მოიპოვება, ღონისძიებებიც არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ აქტებსა და ღონისძიებებს თუ მათ არ მოჰყვება ცოცხალი საქმე.

ჯ. ხვიჩია,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი

ა. გოცირიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი და მოწინავე მეურნეობაა.

ამ მოწინავე მეურნეობის დასათვალიერებლად ხშირად ჩამოდიან ახლომდებარე კურორტების დამსვენებლები.

სურათზე: მახინჯაურის დასასვენებელი სახლის „მზიურის“ დამსვენებელთა ჯგუფი მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ფოტო ი. დავითაშვილისა (საქდისის ფოტოქრონიკა).

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲒᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲯᲔᲠ

საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ვაუთა გუნდმა მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

მეექვსე ტურში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა დაამარცხა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი ანგარიშით 8:2, ხოლო დასკვნითს ტურში — იუგოსლავები — 5,5:3,5 (ერთი პარტია გადაადგა), ახლა საბჭოთა კავშირის გუნდს, უკანასკნელ ტურში გადადებული პარტიის დამთავრების წინ, 51,5 ქულა აქვს. მეორე ადგილზე გამოსვლის შანსები აქვთ უნგრელებს — 39,5 ქულა და ორი გადადებული პარტია.

გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: სსრ კავშირი — 52,5 ქულა, უნგრეთი — 41 ქულა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 39,5 ქულა.

ᲚᲐᲞᲠᲩᲮᲘ

კომუნისტი

ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

საბჭოთა კალათბურთელმა გაეცბა მსოფლიო პირველობის ლუუბლიანას ფინალური ტურნირის სტარტზეევ წაიბორძიკეს, წააგეს შეხვედრა ბრაზილიელებთან 64:66, ამიტომ მომდევნო მატჩს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან ჩვენი ნაკრებისათვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მეორე დამარცხება ფაქტიურად ოქროს მედლებისათვის ბრძოლის ყოველგვარი შანსის დაკარგვას მოასწავებდა.

ამჯერად ჩვენი კალათბურთელები შეწყობილად და ეფექტურად მოქმედებდნენ, მათი ტაორენები კი ხუთ უფრო ხშირად ხვდებოდა მიზანს. შუა ტაიმში ორკალენეკმ, საკანდელიძეს, პაულაუსკასსა და ა. დ ს. ბელოვებს თამაში მიჰყავდათ 27:22, შემდეგ კი კრიკუნმა, ზასტეხოვმა, ანდრეევმა, ჟარმუსამდოვმა და ტომსონმა თამაშის პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 51:34.

მეორე ნახევარში საბჭოთა ნაკრებს ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია და გაიმარჯვა 98:72. ჩვენი კალათბურთელებიდან ყველაზე შედეგიანი იყო ს. ბელოვი — 16 ქულა. ჟარმუსამდოვმა თავის ბუნდს 14 ქულა შესძინა, საკანდელიძემ — 11 ქულა.

კვირას ბრაზილიელებმა მოუგეს იტალიის ნაკრებს 69:59, ამერიკელებმა— ურუგვაის გუნდს 76:39.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები. საბჭოთა კალათბურთელებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად დაამარცხეს ურუგვაის ნაკრები 95:43.

ᲥᲔᲕᲡᲐᲡᲘᲐᲜᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ

ᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲛᲐ მეორე მძიმე წონის ძალოსანმა ევროპის ჩემპიონმა სერე რედინგმა ბრიუსელში გამართულ ასპარეზობაზე ახალ წარმატებას მიაღწია. მსოფლიო რეკორდსმენის, ქალაქ შატის სტუდენტ ვასილი ალექსეევის შემდეგ მეორემ ხამჭიდში გადალახა ექვსასიანთა ზღუდე. მან აწია 218,5 კილოგრამი და 2,5 კილოგრამით გადაჭარბა ვ. ალექსეევის მსოფლიო რეკორდს, აიტაცა 165 კილოგრამი და აკრა 217,5 კილოგრამი.

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲔᲑᲖᲔ

ᲙᲘᲢᲝ. სსრ კავშირის ფეხბურთის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი 2.850 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან ფრედ დაამთავრა ეკვადორის გუნდთან „დეპორტივა უნივერსიტარიასთან“ — 0:0.

ჩვენს გუნდში თამაშობდნენ: კაკაბაძეები, ძოძუაშვილი, აფონინი, ლოგეშევი, კაპლიჩნი, კისელიოვი, ფუტანი, ასათიანი, პუშარი, ბიშოვეცი (მეტრეველი), ვარიუკინი.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜ. მსოფლიოს ეკს-ჩემპიონებმა — ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 5:2 მოუგეს ადგილობრივ გუნდს „ლეონს“. პირველი ორი ბურთი გაიტანა პელემ, თითო მეორე ტაიმში — რიველინომ, ტო�-ტაომ და ცეზარამ.

ᲛᲔᲮᲘᲙᲝ. მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლებმა — მექსიკის ნაკრების ფეხბურთელებმა ამხანაგურ მატჩში დაამარცხეს შოტლანდიის გუნდი „დანდი იუნაიტედი“ — 2:0 (0:0). ორივე ბურთი ფრაგოსოდ გაიტანა.

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ. მექსიკაში გაფრენის წინ შვეიცარის ნაკრების ფეხბურთელებმა „ნემშტადიონზე“ 25 ათასი მაყურებლის თანდასწრებით მოუგეს უნგრეთის ნაკრებს — 2:1 (0:1). ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა ფაზეკასმა. მხოლოდ მეორე ტაიმში შვეიცარელმა პერსონმა და ვიდერშტედტმა დაამატეს ბურეს თავიანთი გუნდი.

ᲞᲣᲔᲑᲚᲐ. ჩვენი ფეხბურთელების მეტოქეებმა მსოფლიო ჩემპიონატის 1/8 ფინალში — ბელგიის ნაკრები გუნდის სპორტსმენებმა ადგილობრივ სტუდენტთა გუნდს მოუგეს ანგარიშით 9:0. სამი ბურთი გაიტანა დევრინდმა. (საკდისი).

ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲦᲘᲐᲜᲘ...

ᲛᲝᲖᲘᲓᲦᲘᲡ ველორბოლის მონაწილეებმა გადალახეს ჩეხოსლოვაკია-პოლონეთის საზღვარი და ვარშავისაკენ აიღეს კურსი. ეს იყო მეხუთე ეტაპი, რომლის დისტანციაა 181 კილომეტრს წარმოადგენდა. წარმატება პოლონელ სპორტსმენს რიშარდ შუურკოვსკის ხვდა ხუთი ეტაპის შემდეგ ლიდერობენ პოლონელები.

ᲐᲡᲙᲐᲠᲔᲖᲝᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

● **კვირას** ტალინში გაიმართა ესტონეთისა და ფინეთის შტანგისტთა საერთაშორისო შეჯიბრება. პირველ მძიმე წონაში წარმატებით გამოვიდა ესტონელი ძალოსანი ი. ტალტსი. მან აწია 195,5 კილოგრამი და ნახევარი კილოგრამით გადაჭარბა მოსკოველ ვ. იაკუბოვსკის მსოფლიო რეკორდს. სამჭიდში ი. ტალტსის შედეგი 550 კილოგრამი იყო. ესეც ახალი მსოფლიო რეკორდია.

● **გასული** წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა მოსკოვის „ფილის“ რეგბისტებმა თავიანთი პირველი საერთაშორისო შეხვედრა გამართეს საკუთარ მოედანზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თერთმეტეულის ჩემპიონთან „სტალთან“ და გაიმარჯვეს ანგარიშით 11:3.

● **ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲜᲘ** ავტორალის — ლონდონი-მეხიკოს მონაწილეებმა შეკვეთების შემდეგ გუშინ სტარტი აიღეს ლა პასისაკენ. საბჭოთა „მოსკვიჩების“ ექიპაჟი ამჟამად პრეტენზიას აცხადებს პირველობაზე თავიანთი კლასის მანქანების შორის. 96 ეტიპაჟიდან ავტორალს მხოლოდ 39 შემორჩა.

● **ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲨᲘ** გაიმართა მორიგი მატჩი ფეხბურთში ადგილობრივი „დინამოსა“ და ბრიანსკელ თანაკლასელთა შორის. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

● **ᲛᲐᲢᲩᲘ** ხარკოვში ადგილობრივი „მეტალისტისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდებს შორის დამთავრდა ხარკოველთა გამარჯვებით 1:0.

● **ᲑᲠᲘᲡᲘ** „დილას“ ფეხბურთელებმა საკუთარ მოედანზე მოუგეს კალეგის „ლოკომოტივს“ 2:0.

ᲠᲐᲓᲘᲝ

20 მაისი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — საცეკვაოები ქართული ოპერებიდან, 08.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 11.05 — დონიცეტი. ნაწყვეტები ოპერა „სიყვარულის ნეკტარიდან“, 11.45 — აზერბაიჯანული სიმღერები, 12.45 — გ. ცაბაძე. ნაწყვეტები ოპერეტებიდან, 15.00 — „ჯიქიას ოჯახის მატიანე“ (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ვ. კოკიელი. საორკესტრო პიესები, 17.30 — მოსწავლეთათვის „კონცერტი „თქვენი თხოვნით. მეგობრებო!“, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — პოპულარული საოპერო არიები, 19.45 — ლ. იაშვილი. სიმღერები, 20.30 — რადიოფურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“, ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — „ძალისპირული“, 21.10 — რ. შეტრაუსი. სიმფონიური პოემა „ასე ამბობდა ზარატუსტრა“, 22.00 — ხ. კლდიაშვილი. ინსცენირებული მოთხრობები, 22.50 — სიმღერები საქართველოს სახელმწიფო ჯაპელის შესრულებით, 23.30 — მუსიკა მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

19 მაისი

13.05 — კინოპროგრამა, 14.10 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. მხატვრული ფილმი „პავლე კორჩაგინი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.50 — „ლენინის ანდერძის ერთგულნი“ — ქ. მოსკოვის პიონერთა პარადის ტრანსლაცია წითელი მოედნიდან, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა. ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი — „იანტარნაიადან გაქცეული“, 19.25 — სატელევიზიო ჟურნალი ბავშვებისათვის — „კოცონი“, 19.55 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „კომკავშირული საქმეები“, 20.40 — „მუსიკალური ფოსტა“, 21.30 — მხატვრული ფილმი „თრთვილის წვიმა“.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

19 მაისი

Შ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — კარმენი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური (ზესტაფონის სახალხო თეატრის წარმოდგენა) — კიკვიძე; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი სიდედრი; მოზარდ მაყურებელთა ქართული — დიენეზი № 16 (№ 40, 42 ამონ. დილის 10 ს.); ძია ელიოზი (№ 26 ამონ. საღ. 6 ს.); თოჯინების ქართული — ამბავი ბრიყვი ძმობილებისა (11 ს. მე-10, 61-ე და 123-ე სკოლები), თხუნელა (1 ს. 42-ე და 61 სკოლები).

ᲙᲘᲜᲝ

19 მაისი

ოქტომბერი — „განთავისუფლება“ (I, II სერია); ამირანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), სპარტაკი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), თბილისი, ვაკის ბარი — ფიროსმანი; საქართველო (მწვანე დარბაზი), ისანი (საზამთრო), გაზაფხული, კოლხიდა (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — უკანასკნელი არდადეგები; ამირანი (საზაფხულო), ისანი (საზაფხულო) — ცოლქმრული ცხოვრება (I, II სერია); ფილარმონიის ბაღი — ოქრო; 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები (I, II სერია); 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — გაზაფხულის პატარა რომანი; 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — ადამი და ევა; თანამგზავრი — ანეულიკა — ანგელოზების მარკეზი; ნაკადული — დაგვიანებული ყვავილები; კოლხიდა (საზაფხულო) — არ დაიდარდო! (ქართული ვარიანტი); ვარშა, ბათუმი, სპორტი, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — სად არის 042, წერილები შინ; კოლმეურნე — ილაპარაკონ; ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — კრემლის კურანტები; კომკავშირული — რაიკის შვილები (I, II სერია); გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — როგორ დავდწეოთ თავი გელენჯიკს?; ვარანი — მიცვალებულნი ახალგაზრდებად რჩებიან; ოფიცერთა სახლი — მაკედონური ჭორწილი.

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲗ

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, ბ/მგ. მდივნის — 99-72-80, ბამდივნისა — 99 66-10, განუყოფელებებისა: პარტიული — 99 87-61, პროპაგანდის —93 22-93, მრეწველობის — 93-20 34, სოფლის მეურნეობის — 99-52 46, საბჭოთა მშენებლობის — 93 14-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93 27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99 55-01, ინფორმაციის — 93-16 90, სატარისა და ფელეტონის — 99 60-31, უცხოეთის — 93 95 97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის—93-28-54,

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УД 04272

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.

რედაქტორი
დ. მგელიშვილი.